# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 137

„ 19 " დეკემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, სულიკო თორთლაძის ქუჩისთვის და ერთი ჩიხისთვის თაბორის მთის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. კრწანისის რაიონში, ნადიკვრის III ქუჩის მონაკვეთს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და სულიკო თორთლაძის ქუჩას მიენიჭოს თაბორის მთის ქუჩის სახელი (გაგრძელდეს თაბორის მთის ქუჩა), თანდართული რუკის თანახმად.
2. კრწანისის რაიონში, სულიკო თორთლაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს თაბორის მთის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — ზურაბ აბაშიძე


1:2,500
X=484915 Y=4614564
X=484902 Y=4614560
თაბორის მთის ქ.
X=485031 Y=4614262
I ჩიხი
X=484915 Y=4614285
X=484634 Y=4614247